



„ღმერთო,  
სამშობლო მდევროსნე,  
მძინარეც  
ამას ვღუღუნებ!“

# კავკასია

პროზული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №7-8 (43-44) საქართვეპი – ოქტომბერი 2010 წელი შპსი 1 ლარი

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

მოგესალმებით, იმედია გამონახავთ დროს და წაიკითხავთ ჩვენი ქვეყნის საერთო სატკივარს.


გაზეთი „კავკასია“ 7 წლისაა. იგი აშუქებს არა მარტო საქართველოს მოვლენებს, არამედ საერთოდ კავკასიურ ქვეყნებსაც. ვთვლი, რომ გაზეთის წინა ნომერი 5-6 (41-42) რომელიც თქვენს რეზიდენციაში შემოგიგზავნეთ, განსაკუთრებულია, რადგანაც აქ თავმოყრილია **4 სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წერილი**. ერთი – ნონა სუჯაშვილისა – „ოსური აგრესიის დეტალები“ და სამი ჩემი: „კავკასიის მზე – საქართველო!“, „ქედს არ მოიდრეკს კავკასია, ერძოლოვ!“... ფსევდონიმით სტორელი და მესამე – „როშკა – არხოტის გზის მშენებლობა – მოჯადოებული წრე“.

ბოლო წერილში განხილულია კავკასიონის ქედის გადაღმა, ინგუშეთის საზღვრამდე, 50 კილომეტრზე გადაჭიმული არხოტის, ანუ ასას ხეობაში მცხოვრები ჩვენი მცირერიცხოვანი ხევსური მოსახლეობის უმძიმესი მდგომარეობა უგზოობის გამო.

წერილის შინაარსის თხრობით თავს არ შეგაწყენთ, ვფიქრობ, თავად გაეცნობით, მითუფრო, რომ იგი ღია წერილია სულ პირველად თქვენდამი გამოგზავნილი.


თქვენთან დაკავშირების სურვილი უფრო მეტად გამიჩინა იმ მოვლენამ, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი კუთხით. **თბილისი - გომბორი - თელავის გზის მშენებლობის** სინარულმა არა მარტო კახეთის მოსახლეობა, მთლიანად საქართველო მოიცვა.

პირადად მე დიდ მადლობას გიცხადებთ ჩვენი დიდი მეფის – **ერეკლეს ისტორიული გზის მშენებლობის** გამო, რომლითაც იგი უმოკლესი მანძილის გავლით თავისი ლაშქრით მტერს ხვდებოდა და რომელზეც მე არაერთგზის ვწერდი პრესაში აღნიშნული გზის გაყვანასთან დაკავშირებით. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ ანალოგიურად მიხედოთ **როშკა-არხოტის გზის მშენებლობას**, რომელიც გადაარჩენს ამ ეგზოტიკურ და უდიდესი მნიშვნელობის საქართველოს ძირძველ კუთხეს კავკასიური ქვეყნების საერთო მტრის-რუსეთის ხელყოფისაგან.



სომხურეთი, რეზიკასთან აბღელაურის ხეობა იმანე შიკლაურის ფოტო

პატივისცემით მთავარი რედაქტორი **იზა ჯაჭვამია**



სტეფანწვიინდა, მყინვარწვიინი

ღია  
წერილი

**„სასულაო“**  
გვ. 4

სიყვარული და  
სიყვარული ესეთი  
უნდა...  
გვ. 6

**ღია წერილი** გვ. 2

ლესეოს უსუსუ

იმ დღეს ჩვენს ოჯახში ტელეფონმა დარეკა...

მწელი აღმოჩნდა ამ ფოტოების ნახვა: ორსართულიანი სახლის ნაცვლად... უბადრუკი ნანგრევები...



წელიწადის ყოველ დროს ლამაზი იყო დიდი ლიახვის ხეობა. მდინარის გაღმა-გამოღმა მერცხლების ბუდეებით შეფენილ უძველეს ქართულ სოფლებს...

მას შემდეგ, რაც ოცი წლის წინათ ქალაქი ცხინვალი იძულებით დატოვეს ქართველებმა, ხეობის სოფლებში მცხოვრებთ ეგონათ...

ძირძველი ქართველები სახლობდნენ ხეობაში. საუკუნეებით იყო ნაშენი თამარაშენი, არაბეთი...

დაკვირვებით განადგურდა ყველაფერი, ქართველთა ნალოვალნივან-ნაფერები...

აპრილის წვიმამ დატბორა მთელი საქართველო, ალბათ, აღიდებულ-გავეშებული გულბრაზიანად...

მდურარეა ახლა ლიახვის ცრემლი, იწვის სამაჩაბლოს საცოდაობით.

ქურთაში. წმიდა სამების გაახლებულ ეკლესიაში, უკვე აღარაფერ შედის სალოცავად. ეკლესია არ დაუწვავთ, ალბათ, შეუშინდათ, ხელი ესლოთ!

ჩემი მეუღლე სევდიანად, უხმოდ დაცქერის მშობლიური სახლის ნანგრევებს და ფიქრებში უცოცხლდება ის წლები...

მშობლები ამენებდნენ, ალამაზებდნენ იქაურობას. მარნის გვერდით, ჩრდილოეთის მხარეს, 400-ლიტრიანი მამაპაპური ქვევრი გვექონდა...

ყველაფერი, სამწუხაროდ, მოგონებად იქცა. ის კი არა, საფლავეების მარცვც დაუწვიათ - რკინის გისოსები მოუსხნიათ...

ყველაფერი, სამწუხაროდ, მოგონებად იქცა. ის კი არა, საფლავეების მარცვც დაუწვიათ - რკინის გისოსები მოუსხნიათ...

ტაბლას მიცვალუბელთა სულებს, შორიდან ეფერებიან თავიანთ სამკვიდროს, თითქოს არ ჰქონდეთ იმის უფლება...

არ ვიცი, როდის, მაგრამ გვეჯერა, რომ გამოფხიზლდება საქართველო და თვითონვე დაიბრუნებს ძალით წართმეულს...

გაუგონარი სასჯელი გვეგრო. ამ დაუჯერებელი ამბების საუკუნემ კი იმაში მაინც უნდა გავგაცნობიეროს და ის მაინც უნდა დაგვაჯეროს...

ბოლოს და ბოლოს, ნუ დავივიწყებთ, რომ იმისაგან ქართლი კვლავ კენისის!..

კაკაკასიონთან ახლოს ვცხოვრობდით და ამიტომ ნაგვიანვეი გაზაფხული იცოდა სამაჩაბლოში. ჩემს დედამთილს ფერადი ვარდები ჰქონდა...

რაც დრო გადის, ძალიან მენატრება იქაურობა. ახლაც მცემს ცხელი თონის პური და გაჯერებული ჩვენი უბნის სუნი...

ლია ჭილაძე

გლადიკაშკაშის მარტული სქოლა



გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის შემდეგ, ყურადღების ცენტრში მოექცა ორი მეზობლის მთავარი დამაკავშირებელი - საქართველოს სამხედრო გზა. ტრაქტატის დადებისთანავე, 1784 წელს აშენდა ამ გზის ერთ-ერთი მთავარი დამცველი ციხე-სიმაგრე...

ლოებით 7000 მოსახლე ცხოვრობდა. აქედან ქართველთა რიცხვი ალბათ ასს არ აღემატებოდა, მაგრამ სკოლის დაარსების პერიოდში იქ უკვე ორასამდე ქართული ოჯახი იყო...

ახალგაზრდების მეტყველება ქართულ-რუსული სიტყვებით „მდიდრდებოდა“.

ქართველმა ბავშვებმა იმდენი რუსული არ იცოდნენ, რომ რუსულ სკოლაში ესწავლათ, მშობლიურ ენაზე კი სასწავლებელი არ ქონდა.

ეს საქმე უნდა ეთავა ჭკვიან, გამოცდილ და ინიციატივიან ადამიანს. სწორედ ასეთი პატრიოტი და საქმისათვის თავდადებული აღმოჩნდა მ. ყიფიანი.

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (1833-1891) იყო ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი და თანამოაზრე. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1871 წლიდან იგი საცხოვრებლად გადადის ვლადიკავკაზში და სიცოცხლის ბოლომდე თერგის მაზრის გამიჯვნის საქმის უფროსად მუშაობს. პარალელურად, თბილისში, „ივერიაში“, ჩიტორელიძის ფსევდონიმით აქვეყნებს პუბლიკაციებს, თარგმანებს, წერილებს; ყიფიანის თაოსნობით, 1890 წელს გამოვიდა ოსური ანბანი. მისივე ინიციატივით ჩამოყალიბდა „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის პირველი თავმჯდომარე 1883 წლიდან თვითონ იყო. 1888 წლის 30 მარტს თბილისში ჩატარდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობის სხდომა, სადაც განიხილეს ყიფიანის წერილი, იმის თაობაზე, რომ ვლადიკავკაზში

მცხოვრებ ქართველებს სურდათ ქართული სკოლის „გამართვა“ და რას იტყვის ამაზე წერა-კითხვის საზოგადოებამ.

სხდომამ მოიწონა ეს კეთილშობილური მისია და დიდი სიამოვნებით იკისრა ვლადიკავკაზში ქართული სკოლის დაარსება. თუმცა იმ ეტაპზე მათ დიდი ფინანსური დახმარების აღმოჩენა არ შეეძლოთ, მაგრამ სკოლას თავდაპირველი მოწყობისათვის გაუგზავნეს 200 მანეთი. „და შემდეგ დაადგინეს, რომ ყოველწლიურად გაეგზავნოს 200 მანეთი და საჭირო წიგნები. ხოლო მასწავლებლის ჯამაგირი და სკოლის სახლის ქირა მცხოვრებლების ხარჯზე უნდა იყოს.“ თბილისიდან მოსული თანხმობის შემდეგ, ვლადიკავკაზში შედგა კომიტეტის სხდომა, სადაც გაირკვა, რომ პირველ წელს შემოწირული ფულით გროვებოდა 1300 მანეთი. კომიტეტმა სკოლისათვის სამი წლით დაიქირავა სახლი, წელიწადში 300 მანეთად და წერილობით უმორჩილესად სთხოვა გამგეობას, სკოლა გაეხსნათ 1 ივნისისათვის. ქმწვეს გამგეობამ, სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, თხოვნით მიმართა თერგის ოლქის საერთო სასწავლებლების დირექტორს. სკოლის გახსნის საკითხი დროში გაიწვია. 11 ოქტომბერს ქმწვეს გამოემართა სხდომაზე დადგინა, რომ მასწავლებლად მისივე სურვილით „კაკაკაში“ გაეგზავნათ ივანე ბუდელაძე, მასვე გაატანეს დაპირებული სახელმძღვანელოები.

- 10 ნოემბერი, დღის 2 საათი, კაკაკაში სახეიმი ვითარებაში გაიხსნა ქართული სკოლა. ეს სასიხარულო ამბავი მ. ყიფიანმა

გაბრძნობა მ-3 გვირგვინი

# კლადიკაგაზის მარტული სკოლა

← 2-ე გვერდიდან

იმავე დღეს დეპუტატი აცნობა ქმრებს გამგეობას. 21 მარტს „ივერია“ ბეჭდვას ვალადიკაგაზიდან მიღებულ შემდეგ ინფორმაციას: „გაცნობებთ, რომ ხმა დადის, თითქოს ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები სკოლას ჰპირდებიან ადგილს სასკოლო სახლისთვის, ამიტომ ჯერჯერობით სკოლის სამეურნეო კომიტეტი მზამზარეული სახლის ყიდვას აღარ ფიქრობს, როგორც წინათ ფიქრობდა, და განზრახვა აქვს ამოირჩიოს სკოლისათვის ადგილი და მერე როგორმე ისაშუალოს სახლის აშენება.“



ოჯახის მცირე ბიუჯეტისათვის პატარა თანხა მიემატებინათ. სწორედ ამ მიზეზით, 1895 წელს აკურთხეს საკვირაო სკოლა, რომელიც დაარსდა ქართულ სკოლასთან, იმ ქართველი ბავშვებისათვის, რომლებიც კვირის სხვა დღეებში მუშაობდნენ. ამრიგად ვლადიკაგაზის ქართველობას, გარდა უკვე არსებული სკოლისა, საკვირაო სკოლაც ჰქონდათ.

საკულისხმოა, რომ 1896 წელს, სკოლასთან დაარსდა ქართული სტამბა. 1899 წელს, სკოლის კომიტეტის დაყენებული თხოვნით, ქართული სკოლის ეზოში საბირკველი ჩაეყარა ქართული ეკლესიის მშენებლობას. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ვლადიკაგაზის ქართველობას აუსრულდა დიდი ხნის გულის წადილი, მათ აქვთ საკუთარი ეკლესია და ჰყავთ საკუთარი მღვდელი, რომელიც შუასრულებს ყოველგვარ ღვთისმსახურებას ხალხისათვის ადვილად გასაკებ „დედა ენაზე“ მომდევნო წელს სკოლას კიდევ ერთი, მესამე საკლასო ოთახი მიემატა, საჭირო შეიქმნა დამატებითი მასწავლებლის დაქირავება, რაც მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდით იყო განპირობებული. 1898 წლის 5

დეკემბრის „ივერიაში“ ვკითხულობთ: „აკავაველ ქართველებისათვის წლებადილი წელი ბედნიერი იყო, ესლა ეკლესიაც, სკოლაც და მღვდელიც საკუთარი ჰყავთ.“

ამ დიდი, ქართული სულიერების ტაძრის მშენებლობას, დიდალი ფული სჭირდებოდა, რომელიც ძირითადად შემოწირულობებით გროვდებოდა. ვისაც რითი შეეძლო ეხმარებოდა სკოლას, თვეში ორჯერ მიდიოდა ქართველი დალაქი, რომელიც მოსწავლეებს უსასყიდლოდ ჰკრიდა თმას. ხშირად იკრიბებოდა სამეურნეო საბჭო, ისინი საკუთარი შემოწირულობით ავსებდნენ სკოლის ხაზინას. უფასო სწავლების მიუხედავად, საკუთარი წვლილი შეჰქონდათ მოსწავლეების მშობლებსაც. სკოლას სისტემატურ დახმარებას უწევდა დიდი მეცენატი დავით სარაჯიშვილი. ქართული სკოლის სასარგებლოდ, ადგილობრივი სცენისმოყვარული მსახიობები ხშირად დგამდნენ წარმოდგენებს (პიესებს, დრამებს, კომედიებს, ისტორიულ რომანებს და სხვა). ყოველი მათგანი დიდი წარმატებით მთავრდებოდა. მანდილოსანთა თაოსნობით იმართებოდა პოეზიის და

ცეკვის ქართული და ევროპული საღამოები, რომლებიც არც თუ იშვიათად დილაგამდე გრძელდებოდა. წარმოდგენებს ესწრებოდა როგორც ქართველი, ისე სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა. იქაური ქართველი საზოგადოების დამსახურებაა ის, რომ ყველანი შეძლებისდაგვარად უწყობდნენ ხელს ქართულ სკოლასა და ეკლესიას. ვლადიკაგაზელ ქართველთა და არაქართველთა სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, სკოლის კომიტეტმა გადაწყვიტა, აშენებინა სკოლასთან არსებული თეატრისათვის დარბაზი. 1903 წლის 3 აგვისტოს აკურთხეს დარბაზის საბირკველი, რომელიც, ასევე, მეცენატთა მიერ გაღებული შემოწირულობებითა და საწევრო ფულით აშენდა. სამოქალაქო ბაღში ხშირად იმართებოდა სახალხო სეირნობა, მოსწავლე გოგო-ბიჭები აწყობდნენ თავიანთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას.

ის ფაქტი, რომ ამ სკოლაში, ადგილობრივი საერთო სკოლების (ოსების, ყაზარდოელთა, ჩეჩნებისა და სომხების) მასწავლებელთათვის მოქმედებდა კურსები, სადაც ისინი უპირატესობას, გოგებაშვილის მეოთხედ სწავლას ანიჭებდნენ, მრავლისმეტყველია.

ხნიობრივი სიცოცხლე და გონებრივი სიფხიზლე ვლადიკაგაზის ა. წერეთლის სახელობის მე-19 ქართულ საშუალო სკოლაში მთელი გასული საუკუნის განმავლობაში ღვდდა. იქ სწავლა მორე მსოფლიო ომის დროსაც არ შეწყვეტილა. სამწუხაროდ დაინგრა ეკლესია, რომლის აღდგენაზეც დღემდე მსოფლიო იდეის დონეზე საუბრობენ და არ გამოჩნდა მეცენატი, რომელიც ამ კეთილშობილ მისიას თავს მოაბამდა და განახორციელებდა.


**ვლადიკაგაზში დღემდე არ არსებობს ოსური სკოლა, მაშინ, როცა ქართული, მალე, დაარსების 150 წლის თუბილეს იზეიმებს.**

სწორედ, ამ მიზეზით, ექსტრემისტულად განწყობილი ოსების ნაწ-

ილი, დროდარო „ფხიზლდებოდა“ და ქართული სკოლის გაუქმებას მოითხოვდა. ასეთი შემთხვევები, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ქართული სკოლის ისტორიაში ორჯერ დაფიქსირდა. პირველად ატეხილი აუიოტაჟისას, ერთ-ერთმა მოხვედრე ოსებს შეუთვალა, თქვენი ენა ქალაქ ბესლანს არ სცილდება, ჩვენი ენა კი ძირბველია, ის ლაზარეა. ანანი კი ერთ-ერთია მსოფლიოში არსებულ თითხმეტ დამწერლობათა შორის. მეორედაც ჩამოიჭანეს თბილისში ამბავი – სკოლას დახურვა ემუქრებაო, პრობლემის მოგვარება ხვეის სახალხო უნივერსიტეტმა ითავა. ვლადიკაგაზში ჩავიდინე სახალხო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, პროფესორი ვანო შალუგი, ისტორიკოსი, პროფესორი ვალერიან თითხმეილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ ავსაჯანიშვილი, ენათმეცნიერი, პროფესორი ვანო ქუთარაშვილი და ლიტერატორი, პროფესორი სოლომონ ხუციშვილი. ისინი შეხვედნენ და გაესაუბრნენ სკოლის დირექციას, შემდეგი შეხვედრა განათლების სამინისტროში გამართა. კომპეტენტურ პირებთან საუბრისას ვ. შალუგმა განაცხადა: ოსეთში ოსური სკოლა რომ უნდა არსებობდეს ეს უდაოა, თუ არ გაქვთ ვე ჩვენი საქმე არაა და ეს არც ქართული სკოლის ბრალია. ამ სკოლას წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საკუთარი კეთილდღეობა ანაცვალა. ის ჩვენი მარტო კედლები კი არა, ერთი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც არავის მოკავალენებთ.

ოსეთში ქალაქ ვლადიკაგაზში, აკაკი წერეთლის ქუჩაზე დგას აკაკი წერეთლის სახელობის ქართული სკოლა, სადაც იქ მაცხოვრებელი ქართველი ბავშვები, ჯერ კიდევ დაძაბული ქართულ-ოსური ურთიერთობების ფონზე, ძველი სახელმძღვანელოებით, ცოდნას ისევ ქართულ ენაზე ეუფლებიან.

ნონა სუჯაშვილი




**სიმონსლა**  
გავლექსავ, გავინავარდებ, ხან გულს დავისობ ისარსა, არავის შევაბალავინებ წინაპართ კუბოს ფიცარსა. ხან გადაუვრებენ ქარაფებს – თუშეთის ამაყ მხარესა, ზოგჯერ კი საჯიხვეებში ღამეს ვუთენებ მთვარესა. ხევის შხუილში ჩაკარგავ დაღლილი გულის დარდებსა.

\*\*\*  
თუშეთის სამფლობელოა კავკასიონის მთებზე. უხდება ციხე-კოშკები მყინვარებს გაშლილ მხრებზე. სიბით ნაგები სოფლები, წინაპართ დაღლილ ძვლებზე, მიწაში ჩაშლილ აბჯრებზე, შვილდისრებზე და ხმლებზე.

## რვენი მოლექსეები კაკო იჭირაყლი

კაკო იჭირაყლი საქართველოს თვალწარმტაცი კუთხის – თუშეთის შველია და ამავე დროს სოფელ ფშავლის მკვიდრი. ბუნებასთან და ტრადიციებთან შეზრდილმა კაცმა ყოველდღიურ გარჯა-ყოფასთან ერთად შეისისხლზორცა წარსულიც და აწმყოც, პატიოსნება და სიყვარული და რაც მთიელისთვის არის მეტად დამახასიათებელი ხალხური პოეზიისადმი სიყვარული და იუმორის განსაკუთრებული გრძობა. მთავარობთ კაკო იჭირაყლის ლექსებს.



**მეჩე პიხინავაშაო სიპაილი**  
თუშთა წალეკვას ლამობდა მტერი ურჯულო, ვერანი, მოულოდნელად ესხმოდნენ, როგორც წიწილებს ძერანი. ისარ-კაპარჭით დაცივეს მამა-პაპათა კერანი, ბევრი უნახავს წინაპართ დარბევა, შუბის ძგერანი. დააკვებდნენ მეომრებს ფეხთეთრა სწრაფი მერანნი, ვერ აშინებდათ სიკვდილი და ვერცა ბელის წერანი.

**მამე, მამაშამ სპაპი**  
კერე, ძალუმად მძინარო, ადექ, დაკმაზე საღარი, ცერები გადაატარე შტროლოთას დააგდე ნაღარი. გაათელინე ნალითა ლალი ჩრდილები ფიჭვების, მიაგდე ხატის კარზედა, გელოდებიან ბიჭები.

**დიქლოში მისხვამკამის მისელოს მამაშამ**  
ა. ბ.-ს  
სოფელ დიქლოში შევაკვილ ხანდახან შაბათ კვირასა,

ერთ ქვრივს დგნაღიანს ვასწავლიდ წისქვილის ხევის პირასა, ღოტკალტოს გიემიანში გადავატარებდ ყირასა, დიაცის მონატრებული გამოუყვანი წირვასა. ვიფიქრე, ესლა მომძორდა, ღამის ტეხვა და ტანტალი, ღამეც იქავე დავრჩები, არ მინდა ბნელში წანწალი, მაგრამ სამხედრო ჩავვიდვა იმ მურმანივით, შუაზე, ამდენი ნერვიულობით კაცი მივედი ყუაზე.



„სიყვარულ დაღის მიწაზე“



\*\*\*

ამ ულამაზეს გრძობებში სულ პირველობას ვჩემულობ, რა ცარიელი ყოფილა, ძვირფასო, ყოფნა უშენოდ. მომიხაროდა გულლადად, მეგონა მლიმარს გნახავდი, დამჭირდებოდა, ათ მთასაც სიმღერით გადმოვლახავდი. ამ ნიავს გულის მაგიერ სიმღერას გამოვატანდი, ჰაუ, რა მოკლე გზა დარჩა, აქედანა და შენამდლი!

თუქვამი

ნისლი ალოკავს ჯვარისკარ ჩამოქანგებულ ხინჭრუკებს, ცხენ-მხედრაობის ძალ ედგმის თუშეთ მეცხვარე ბიჭ-ბუჭებს. ზეიმობს მხარე ზღაპრული თამარ-დედოფლის დარბაზად, გარეთ თუშური ლუდივით თეთრი ღამეა ქაფქაფა.

ნაზი ხაპრიძის შემოქმედებას წარდგინება თითქმის არც უნდა სჭირდებოდეს, რამეთუ ვერ თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა ალექსანდრე ბჟინცაძემ დალოცა და აკურთხა მისი პოეტური სული, ცოტა მოგვიანებით კი ქართველმა მწერლებმა – ჯანსუღ ჩარკვიანი, არჩილ სულაბაძე, გურამ გვარამია და გურამ ფანჯიკიძემ მიაქციეს ყურადღება მის ხალას ნიჭსა და პოეტურ მეტაფორულ აზროვნებას: ვერ უნდა „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი ლექსები, მერე გამოქვეყნდა „ნაკადულმა“ წიგნად დასტამბა. ნაზი ხაპრიძის შემოქმედებაზე ვრცლად შეიძლება ისაუბრო, იმდენად ვრცლად, რომ ერთი ამხელა წიგნიც კი შესაძლოა არ ეყოს. ერთი თუშური ანეგდოტი გამახსენდა, პატარძალზე რა ანეგდოტი, იმას მოგახსენებთ: ნეფონისას ქორწილი დამთავრდა,

\*\*\*

შენაცამ ჩამოსდნებოდე თოვლო, რჩომილო გორაზე, შენაცამ გამოჩნდებოდე დღეს თუ არ, დღეის სწორაზე სუცამ არ მოგნატრებივარ? მაშამ რად თვალში მემსვები? როგორც შენ გამიდიდგულდი, გამიდიდგულდენ ლექსები.


ჩემს ძალღმადგინებელს ვიძახებ (მელა მეზვინაშვილს)

ძვირფასო, შენთან შეხვედრა მინდა და ყველა ფიქრი შენსკენ ფრინდება, როცა ვიხსენებ „რწმუნას რწმუნისას“ უმალ ეგ სახე გამობრწყინდება. ახლოს შენთან ვარ, ეს ჩემი სტვირი სიყვარულსა და სიმათლეს მღერის, ვგრძნობ, ვით მასწავლე ცხოვრება დიდი, ძალას მმატებდა სიმათლე შენი. დღეს ქალი ვარ და დედაც ვარ, იცი, გული კი კვლავაც ჭაბუკურ გულობს, ხან ავტირდები, ხან გავიცინებ, რომ ტკივილები სხივისი განვკურნო. სხვა არაფერი. ქალი ვარ მარტო, ჩემში დედობის ძალობს ფესვები, მარტო ეს არა, გეტყვი იღუმალ, რომ მეტყველებენ ზოგჯერ ლექსებით.

სხვა არაფერი, ქალი ვარ შენებრ, ჩემი მამულის ფესვი ვარ ერთი, საქართველოა ჩემი სახატე სამლოცველო და უფალი ჩემი. ვეთაყვანები ცა-ფირუსს, ხმელეთს კუთხეს ღვთისმშობლის ნაჩუქარს, ნაკურთს, ამ სიყვარულშიც შენ გვაგდე, მინდა, ასე ქალურს და ასე ვაჟკაცურს. შენ რომ არა და მე დავრჩებოდი დიდი ცხოვრების უმწეო ჩვილი, ამიტომ ვამბობ, მედეა, ქალო, ჩემს ქალობაში შენ გიდევეს წილი! როგორ ამავე შენი ფერებით, ხედავ ეს ლექსიც შენით ბრწყინდება, რომ გახსენებენ ქალურს, ვაჟკაცურს, უმალ ეგ სახე გამობრწყინდება.

სიყვარულ დაღის მიწაზე

ნისლებ შექმნდნენ ქომიტოს გამართეს ჩურჩულ – კურკური, ჩემთვის ნასრევი მხერაი უცბად დავიჭირ, ქურდული. თავ დავიბრუნე, ვინმემ გამოჩინდისაუ ბილიკზე გულად გავედი, მილიმის ჩემი ღობილი პირიშე. აი რა მითხრა ეშმაკმა, მზეიც რო თვალებს უნაბეგს, ნაყვიჩოთა ჩახედულ ჩემი მეცხვარე უნახავთ



მით ჩურჩულებენ უჭკონი, მჭორავენ უნაპიროდა, მეცხვარის საღამური მარტო ჩემს სახელს მღეროდა. თქვენამ რა გიშავთ, იმღეროს, გულს ასთაი ღებნა იტაცებს, არ გიხარისთაი ღრუბლებო სიყვარულ დაღის მიწაზე.

P.S. ახლახანს ახმეტის რაიონის მოსახლეობამ და მისმა მშობლიურმა სოფელმა ნაზი ხაპრიძის წიგნის პრეზენტაცია გამართა ზემო ალვანის კულტურის სახლში, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის ხელმძღვანელები, აქაური საჯარო სკოლების მასწავლებლები და მოსახლეობის წარმომადგენლები, მეგობრები და ოჯახის წევრები, რომელთაც შთაბეჭდილი სიტყვებით ამაგდარი მოღვაწისა და პოეტისადმი დიდი სიყვარული გამოხატეს.



\*\*\*

გაგამცევი, დამედევნე, ნუ გამიშვებ მარტო, ხევ-ხუვს გადაგატარებ და დაგიოქებ არხოტს. მერე თელავს გალოცვინებ, ბახტრიონთან გნატრობ, უამრავი მეგზური მყავს, მთვარე ლექსით მართობს. ამ მეგზურებს ნუ ენლობი, ნუ გამიშვებ მარტო.

«ბროწეულის ყვავილები»

გამომცემლობა „ბასიანმა“ ახლახანს მკითხველებს მიაწოდა მარინე ფონსვირეშვილის ლექსების კრებული. მარინემ პოეზიაში პირველი გამოჩენისთანავე მიიპყრო ჩვენი ყურადღება ლექსებითა თუ პირობითი თვისებებით. პირველი ლექსების დაბეჭდვიდან სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა. მერე კი... აღარსად ჩანდა. გული წყდებოდა და სულ ვფიქრობდი ეს ხალისიანი და მშვენიერი გოგონა სად გაქრა-მეთქი... და აი, მარინე ფონსვირეშვილი უკვე ქმარშვილიანია და მოგვევლინა მარტო ოთხი შეილით კი არა, მომცრო კრებულით: „ბროწეულის ყვავილები.“ ლექსები აზრობრივი დატვირთვის მიუხედავად, მსუბუქი და პაეროვანია. მას საკუთარი გზა აქვს არჩეული და ამ გზაზე სიკეთით და აღმაფრენით ივლის. მართლაც რომ ბროწეულის ყვავილებით ანათებს მისი პოეტური სტრიქონები. წაიკითხეთ და თავადვე დარწმუნდებით წიგნის ღირსებაში.

ღაღის უიძრავი (ჩემს გიორგის)

რა ძვირად მიღირს შენი აკვანი და შენეული ჩაკისკისება, თვალები – ღურჯი, ფართო თვალები გაოცებით და მზით რომ ივსება. ვინ იცის, რაღაც, ჩემგან უთქმელი, რა კვლად დაგრჩეს ურჩსა და თამაშს, ვაი, თუ რაღაც ისე ვერა ვთქვა და შეგაჩვიო სიკვდილთან თამაშს, ჩაგახრევისო მუხლი გოლოგოთამ, ცამდე ვერ ზილო შენი აღმართი.

დავირჩე ასე, ვალშერჩენილი, სიცოცხლე ჰგავდეს უაზრო ლოდინს და მწვანე ხავსმა ხელი დამრიოს, გადამიძოვოს სამარის ლოდი დმერთმა დავლოცოს!.. ჯვარი გწერია, – ხარ პაწაწინა ქვეყნის წიქარა, ვერ გაგიტაცოს ვერსად ბოროტმა ავის, ფარსავის შესაწირავად! რა ძვირად მიღირს შენი აკვანი და შენეული ჩაკისკისება, თვალები ღურჯი, ფართო თვალები გაოცებით და მზით რომ ივსება!

\*\*\*

წვიმად მოსულხარ გუმინ საღამოს, ღია სარკმელთან ცრემლებად თრთოლი, დასწყველოს ღმერთმა სიბრძნე, რომლის სიღრმიდან მხოლოდ ტკივილი მოდის! შემოვამშრალე წინკარი ჩერით და მეგონა, წუთებს ვაკლებდი ლოდინს. დასწყველოს ღმერთმა სიბრძნე, რომლის სიღრმიდან მხოლოდ ტკივილი მოდის!


ნამ კიბეხანო წიგნი

რალა ახლა გამახსენდი, ჩაეძინა როცა ქალაქს, როცა მთვარემ ვარსკვლავები ბატკნებით გამოლადა. გზებსა ვხედავ ათაფერებს, შენს გზებს მაინც არა ჰკვანან. სად გიგზავნო წერილები, რა ნისლი და ჯანდი გამაღვს! რალა ახლა გამახსენდი, ჩაეძინა როცა ქალაქს?!

გაბრძნობა მე-მ გვ. =>



ვაზივით გამძლე და მართალი  
(დანერვილია როლანდ ბასილაშვილის გარდაცვალებამდე)



როლანდ ბასილაშვილი

კარდენანელმა ყმაწვილმა ოჯახშივე შეისისხლხორცა შრომისა და სამშობლო-მიწის სიყვარული. მამა მიწასთან ჭიდოდა, ვენახის მოვლას ასწავლიდა. დედამისი, ქალბატონი ნანო მღვდლიაშვილი კი, ისტორიის პედაგოგი გახლდათ და მოსწავლეებს სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. ფიზიკურად გამობრძნედილი, არც ჯარში სამსახური გასჭირვებია. 1962 წლიდან, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების დღიდან კი იწყება მისი პროფესიული წარმატებები. სტუდენტობისას, ყამირ მიწებზე თავდადებული შრომისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით პირველ წელსვე გადასცეს მედალი „ყამირი მიწებისათვის“.

მუშაობდა ქართლის ზონაში, გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად და იქაც თავი გამოიჩინა პატიოსნებითა და მაღალი პასუხისმგებლობით. ვერ ჩამოვთვლით იმ პრობლემებს, რომელთა დასაძლევადც ამგვარ ჟურნალისტს ღამეები უთენებია. გაბედულება, პასუხისმგებლობა, ოპერატიულობა, სამართლიანობა გახლავთ მისი პიროვნული ნიშან-თვისებები. მისი წერილის „გადარბეული ჭაღარა მიწა“ – დაბეჭდვისა და მთელი რიგი გამოხმაურების შემდეგ შეიქმნა მევენახეობის საბჭოთა მუერნობა. დასაწყისში შეიდ პექტარზე გაშენდა ვენახი. პარალელურად, მზადდებოდა ნიადაგი ახალი ვენახებისთვის. ბატონ როლანდის მორიგ წერილს „დღევანდელი დღე ხვალინდელზე აგებს პასუხს“, გამოეხმაურა საქართველოს მეხალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომელმაც მხარი დაუჭირა ჟურნალისტის იდეას და მიიღო კიდევ დადგენილება „ქართული ვახისა და ღვინის ისტორიის“ შექმნის შესახებ. აქაც გამართდა ჟურნალისტის მიზანი! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ აქტიური საზოგადოებრივი მოღ-

ვაწვობის მიღმა კი ყოველთვის დგას ადამიანის პირადი ცხოვრება. მისი მეუღლე ქალბატონი ციციანო ქურასბედიანი პროფესიით ექიმი. მათ ხუთი უმშვენიერესი შვილი აღუზარდეს სამშობლოს – ოთხი ქალი და ერთი ვაჟი. უფროსი ქალი-შვილი, ნინო პროფესიით ოურისტი. მომდევნო, ნანა – ფსიქოლოგია. ორივე დაოჯახებულია და ორ-ორ შვილს უზრდთან სამშობლოს. ნათია არაბული ენის სპეციალისტია. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს კაიროს უნივერსიტეტში. ამჟამად მაგისტრანტია ინგლისში, ლონდონის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უმცროსი, ნატოც ინგლისში ეუფლება ინგლისურ ენასა და ლიტერატურას „ვიქტორია ინგლისში კოლეჯში“.

დიდი ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „გინდა შეიტყო ვინა ხარ? – უნდა გაიგო, ვინ იყავი“. ჟურნალისტები როდი არიან განვითარებული დიდი პატივითა და მაღლობებით. როლანდიც, უკვე წლებმოთეული, ახლა კრიალოსანივით მარცვლავს თავის წარსულს, წუთისოფლის აუკარგს – რაც უნახავს და განუცდია, რა შეშლია, სად იყო მართალი და ხვდება, რომ არაფერი გაუკეთებია სანახევროდ და უგულოდ. უკვირს, საიდან ჰქონდა ამდენი ენერჯია, რომ წვდებოდა სამსახურსაც და ოჯახსაც, მეგობარსაც და ნათესავსაც.

სიცრუეს ვერც ახლა და ვერც ვერასდროს იტანდა. თავისუფალ დროს კარდენანში გარბოდა, რომ ფეხშიშველს გაეველო ვენახში, მოეველო ვახისთვის, მამულისთვის. ვახს ამ კახელი კაცის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. მის საშუალო მაგიდასთან საკუთარი მარჯვენით გაშენებული ვენახიდან აჭრილი სამამულე რქა მიმავრებული: ნასეტყვი, გადატეხილი, მაგრამ მინც ამოფეთქილი და მაღლა წასული. ფენიქსივით არის

ადამიანები დროს არ ირჩევენ – ცხოვრობენ უფლის მიერ არჩეულ დროში. დღეს, როცა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიები ოკუპირებულია, როცა ერთ წუთსაც არ ვცხოვრობთ უგანსადელოდ, ზშირად გვაიწყვდება, რომ ჩვენ შორის არიან ადამიანები, რომელთაც თავისი წილი არგუნა ცხოვრებამ – ძღვეაც, მარცხიც, ტკივილიც და სიხარულიც.

კაცის წარსული ჭრელი ფარდაგია, ალაგ – მზისფერი, ალაგ – ბინდისფერი. ოთხმოცი წელი მხრებზე ნაბადივით წამოუსხამს როლანდ ბასილაშვილს. ღირსეულად გაიარა ეს წლები, როგორც პიროვნებამ და ჟურნალისტმა – მაღალი ზნეობის ნორმებით, სამშობლოს სიყვარულით. მისი კალამი ჩვენი ცხოვრების არაერთ საჭირობოტო თემას შეხებია. 48 წელი ვერ გაზეთ „კომუნისტის“, შემდეგ კი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში იღვაწა. როლანდი საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტია. მას ეს წოდება საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა. იგი ღირსების ორდენის კავალერიც არის. მუშაობდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სოფლის მეურნეობისა და სურსათის რედაქციის რედაქტორად, შპს „საქართველოს რესპუბლიკის“ ღირექტორად, გაზეთის ყოველთვიური დამატების „დღეღობარის“ რედაქტორად.

ეს დალოცვილი, სიცოცხლის სიმბოლოა – ზშირად ამბობს და ეუერება. ნურავინ იტყვის, რომ იმ დროში, „აწყობილ“ დროში, უფრო იოლი იყო ცხოვრება. არა, პირიქით – ყველაფერს თავისით მიაღწია. მისი უმთავრესი საფიქრალი კი შვილებია. შოთა რუსთაველი, ილია, ვაჟა, – მათი წიგნებით საზრდობდა, მათი სიბრძნით იკვლევდა გზას ცხოვრების ლაბირინთში. აღმერთებს გოგებაშვილს. ვაჟას სტრიქონები კი „ბიჭობა ის კი არ არის, რომ გამავრებდნენ, ჰმავრობდე“ მისი სულიერი კრელოა, ადამიანის პიროვნების საზომია. საოცრად უყვარს ქართული სიტყვა და სიტყვის მაღლს ასწავლის მათაც. ყოველთვის დალხენილი ვინ ყოფილა! მძიმე დღეებიც ჰქონია

კაცის სახელი ამქვეყნიურ ფუფუნებაზე მაღლა დგას, მაგრამ წუთისოფლის დეკარციფმა, არც ჩვენი კოლეგის ალალი ოჯახი დაინდო – ავტოკატასტროფაში დაიღუპა მისი ერთადერთი ძე 24 წლის ლევანი. მასთან ერთად კი მისი ბავშვობის ამხანაგიც, რომელიც საჭესთან იჯდა. ულამაზესი ყმაწვილი, რომელიც უფრო ზეციურს ჰგავდა, ვიდრე მიწიერს. შვილი ვის არ უყვარს, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა როლანდს თავისი საამაყო ვაჟაკიც. თანაც, მამა-შვილს დაბადების დღეც საერთო ჰქონდა – 10 მარტი. ამიტომაც ასმაგად ძნელია ახლა მისთვის ყოველი დაბადების დღე. ერთხელ, ლევანი ვერ დასწრებია მამის იუბილეს, რადგან აუცილებელ

იყო გამორჩეული. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობით. თურმე, ლევანი ჩუმაღ ლექსებსაც წერდა. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი ლექსების პოეტური კრებული. გვახსოვს მათი ოჯახის ტრაგედია – საზარელ მწუხარებას გაუსინჯა გემო როლანდმა, სამინლად მწარეს, მაგრამ ეს ტკივილი დასაკუთრა და გარემომოყოფებს თავს არ მოახვია. გლოვის ზარი იდგა მამის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაშიც. გულით დაკვირვით ჭაბუკი. მას მერე ებრძვის შვილის წასვლით დარჩენილ სიცარიელეს, აღარ იცის, სად გაექცეს შვილის მონატრებას, მარტო დარჩენილი, ზშირად ხელში იღებს კალამს და ქალაღღზე გადააქვს თავისი ფიქრები. ერთი შეხედვით, კლდე-სავით უტუნს, ბავშვივით ფაქიზი სული შემორჩა, ტკივილმა უფრო დაამეგობრა პოეზიასთან. ამას მოწმობს მისი ლევანისადმი მიძღვნილი სტრიქონები:

„შენი ხატება მუდამ თან მყვება, შენ მეგულები ღმერთთან, ძალიან მომეხატრე, შვილო, მსწავლე, ლელო, რა წყალში ჩვევარდე, ჩემო ჯიშო და ვენახო, მსწავლე, შვილო, მსწავლე, შენც ხომ გინდა, რომ მხახო.“

სიცოცხლის აზრს როლანდი ისევ ლევანის მიერ დანატოვარ ქალ-ვაჟში, თავის საამაყო ქალიშვილებსა და შვილიშვილებში ხედავს. მათით უხარია ამქვეყნიური ყოფა, ეიმედება მომავალი. მართალია, დიდმა მწუხარებამ ფიზიკური ჯანმრთელობა შეურყია, მაგრამ სულყოფად კი ვერ მოდრიკა. პირიქით, მეტად დარწმუნდა იმაში, რომ წლებმონათევი კაცი ძველი წიგნით საინტერესოა და ძველ ღვინოსავით – დავარგებული. უკვე ისიც იცის, რომ სწრაფწარმავლობის გამო შეარქვა ქართველმა სიცოცხლეს წუთისოფელი. თურმე, მათუსალას ხნისაც რომ გახდეს კაცი, დროის უსაზღვრობაში მისი არსებობა მინც წუთია. რადგანაც, როგორც თვითონ წერს:

„მავმა ყორანმა დაძჩხავლა, ცეცხლი გააღვივა გულში. წავიდა ლევანი წავიდა, დარდი ჩამიკირა გულში.“

ამიტომ უნდა გაუძლოს საწუთროს მუხანათობას იმისათვის, რომ მისი გამოცდილება საჭიროა შვილიშვილებისათვის, ოჯახისათვის, განსაკუთრებით კი ლევანის დანატოვარი ანასტასიასა და ლუკასათვის, ვერაც სულ ბავშვის, ცალუღელად დარჩენილი, რბლის, შორენა ვასვიანი-ბასილაშვილისადმი.

როცა იბრძოდა იმისთვის, რომ ახალციხეში, თამარ მეფის ნავენახარში ვახი გაშენებულიყო, ფიქრობდა და სწამდა, რომ თითოეული ძირის დარგვისას, თითო ქართულ ოჯახს აფუძნებდა ძირძველ, ისტორიულ მიწაზე. ვახი მისთვის ქართული სულის უკვდავების სიმბოლოა, ქართველთან ერთად დაბადებული და წუთისოფლის თანაზიარი.

ჩვენც გვინდა გამძლეობა, ტკივილის ვაჟაკურად ატანა შეილებსა და შვილიშვილებში გახარება და გამრავლება ვუსურვოთ როლანდ ბასილაშვილს.



ლევან ბასილაშვილი

როლანდს, მაგრამ ღვთის წყალობით, ყველაფერს უმკლავდებოდა. მარტო საკუთარი თავისთვის არასდროს უცხოვრია. ბევრჯერ გაუღვია მხრებზე მეგობარ-კოლეგების დარდი და ფიქრი ისე, რომ ამის გაცნობიერებას, სხვა შეიძლება, ვერც მოასწრებდა. არასდროს გამოჰკიდებია ჩინ-მეღვლებს. უყოყმანოდ დაუდგება გვერდით გაჭირვებულს, ხელს შეაშველებს. უკომპრომისოა სიმართლის თქმაში. გვახსოვს მისი შემართება და პირდაპირობა. როლანდი ის კაცია, რომლისთვისაც პატიოსანი

საქმეზე ყოფილა წასასვლელი. ამიტომ საბოდიშო წერილი მიუწერია და შეჰპირებია: „მამა, 80 წლისა რომ გახდები, ნახავ, როგორ დაბადების დღეს ვეგადაგიხდით“. ვაგლახ, რომ ფიცი ვერ აუსრულა! წინასწარმეტყველური და საბედისწერო გამოდგა შვილის მილოცვა მამისადმი. რომ არა დაუნდობელი ბედისწერა, ახლა როლანდზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ იქნებოდა.


გარეგნული სილამაზის გარდა, ლევანი მდიდარი შინაგანი ბუნებითაც

ლია  
ჭიღლაკი



«ბროწეულის ყვავილები»

მე-5 გვერდიდან



წიგნი

„რა ვი, დროებზე ვფიქრობდი, და არა გამოვიდა რა“ ანა კალანდაძე

ტივილისათვის მუდამ რჩება გულში ადგილი, თუნდაც პირთამდის სავსე იყოს გული - ფიალა, როცა პაწია, სასაცილო, ღაბუა ჩიტმა სიხარულისგან

ფანჯარასთან შეიფრთხილა, მაშინ მოწვიმა, წვიმას რა, ჩიტს ფრთები დაუზიანდა „და არჯაკელო ხვიარა, შენ არა გაგივია რა?!“

კაპიტანო ნემო!

შენ უბრალო ხარ ისე ძალიან, ისე ძალიან, ძვირფასო ჩემო, რომ სულმა მთელი ზეცა დალია, და თვალუწვდენელ სამყაროს ვჩემობ. ისე საყვარლად ცეკვავს ჭადარი, ისეთ ფერებში ლივილივებს ლელო, მკლავებგაშლილი დავდე პეპელას და თვალუწვდენელ სამყაროს ვჩემობ.

მამა, ნემო (დავით ნანსკანს)

გადავიმტერე დალი მუხთალი, შენს სიყვარულში შემცილებია, დილდილაობით მკერდზე რომ გითრთის, მთავ, ჩემო, ეგებ ჩემი ცრემლია.

დაწყვილილ ვიყო, თუ დაგთმო სადმე, ყველა გზაწვირულზე ჩემი კვალია. საუბრეები ჩემი თუ არა, ჩემი მომავლის გასაკვალა. სადმე, შენს მკერდზე დავიმსხვრეე მუხლებს, მკლავზე ავაჭრი მზეთა აკიდოს, დავიჭერ მთვარეს, რომ ჯიხვის დარად, ვერცხლისფერ რქებით კლდეში ჩაგვიდო.

მხოლოდ კერძო (რ. მიშველაძეს)

მხოლოდ ქართული პეშვი იტევს უფალს დიდებით: - თეთრი თითები, კრიალოსნის ათი მარცვალა, სხვა პეშვი მარცვლავს ლოცვას, რომელიც ცამდე ადის და აბრწყინებს ცარგვალს, და მრავალს - ქართულს, ლექსსა თუ ზღაპარს, მხოლოდ საუფლო ბილიკით ქარგავს. ქართული სიტყვის მცველსა და მონას

ნაქარგში ძვირფას კენჭებად ჰკარგავს. მხოლოდ ქართული პეშვი იტევს უფალს დიდებით და მტრის ჯინაზე, რაც ვართ, ის ვართ, აღარც ვიცვლებით, აღარც სიტყვისგან, არც ლოცვისგან აღარ ვიცვლებით მხოლოდ ქართული პეშვი იტევს უფალს დიდებით!

\*\*\*

ქარი ცეკვავს, ქარი ბუქნავს, ქარი ქარობს, ცქნაფაგულა, ქარის უკან მადევარი დრო უკვალოდ დაკარგულა. გავეცლები, გზას გავიღე, თავკერძავ და ცისამარავ, არ მოგიკრეფ მზის ყვავილებს, ცრემლებს ქარში ვერ დამალავ. ქარი ცეკვავს, ქარი ბუქნავს, ქარი ქარობს, ცქნაფაგულა, ქარის უკან მადევარი დრო უკვალოდ დაკარგულა.

შინდღაცა

დაბადების დღეს ვულოცავთ:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ბონა შატირიძე-შილს.

პოეტს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს - ბაბატიმარ არაბულს.

თვალსაჩინო პოეტს - ბონა სარანაშულს.

ბატონ კობა ბუნუქურს

ზაძრო ჯაჭვამს

ჟურნალისტ ლელა ღონაძეს.

დებს - თინიკო და დალი ნაყურაძეს

მშვენიერ მანდილოსანს ასმათი არაბულს

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, გაზეთ კავკასიის“ ლაურეატის წოდება მიენიჭა თვალსაჩინო პროზაიკოსსა და პოეტს ლაშა გვასალიას ვოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი მოთხრობისათვის „სასაფლაო“



თუშეთი, კვანძის ციხე. იზა ჯაჭვამის ფოტო

სმოვნა

გივი, ჩვენო გივი!..

წელიწადი გასრულდა, რაც ჩვენთან აღარ არის უწმინდესი და უსათნოესი მეგობარი გივი ნაცვლიშვილი. იგი მატანში დაბადდა ჩვენი დიდი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სოფელში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ერთხანს ტელევიზიაში იმუშავა, შემდგომში კი ახმეტის პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ. ამის შემდეგ მატანის პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორად, ახმეტის გამგებლის პირველ მოადგილედ. პრესცენტრის უფროსად და ბოლოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელად. ამ ნიჭიერ მოღვაწეს, გამოცემული აქვს ერთი კრებული მოგონებებისა, რომელიც ეძღვნება აწ გარდაცვლილ კოლორიტულ პიროვნებას ზაურ მანიჭაშვილს და რომელმაც ახმეტაში მოღვაწეობის პერიოდში თავისი დიდი და კეთილი კვალი დატოვა. გივი ნაცვლიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის მატანის კულტურის სახლის მშენებლობის საქმეში, აგრეთვე სტუდენტობისას ხელმძღვანელობდა სტუდენტურ რაზმს. ახმეტის რაიონში მუსიკალური სკოლის დაარსებაც გივის დამსახურებაა. ასევე მატანში

სკვერის მოწყობა. გივი იყო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მეტად აქტიური. განსაკუთრებულია მისი ღვაწლი ახალგაზრობის შეკრების საქმეში, რომელთაც უღვივებდა საკუთარი კუთხის სიყვარულს, მართავდნენ კაფე-სადამოებს, ექსკურსიებს და ზრუნავდნენ რაიონის კეთილდღეობისათვის. გივი ნაცვლიშვილი ჩემი დიდი მეგობარიც გახლდათ, ჩვენი გაზეთის სარედაქციო საბჭოს წევრი და ცდილობდა მშობლიურ რაიონზე ბევრი წერილი გამოქვეყნებულიყო. ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის განმავლობაში იშვიათად შემხვედრია საკუთარი კუთხეზე ასეთი თავდავიწყებით მზრუნველი ადამიანი. სულ პატარა სიკეთეც კი გულს ბავშვივით უხარებდა და აღაფრთოვანებდა. არასდროს გაუკიცხავს თანამემამულე, არასდროს უთქვამს მათზე ძვირი სიტყვა. ცდილობდა სხვათა სიკეთეც შეეღამაზებინა. მოკლედ რომ ვთქვათ, სიკეთის განსახიერება იყო და დღემუდამ მისი მსახური. უყვარდა საქართველო, მაგრამ ახმეტა მაინც სხვა იყო მისთვის. სიცოცხლის ბოლო, თითქმის წელიწადი მძიმე სენით შეპყრობილმა და ლოგინს მიჯაჭვულმა თბილისში გაატარა. ავად იყო და მაინც მისუსტებული ხმით სულ ახმეტაზე და ახმეტელებზე მესაუბრებოდა. ბოლოს, მაინც იხილა მშობლიური ახმეტა, მაინც არავისთვის უგრძობობინებია რომ აღსასრულის



წუთები ღებოდა, ყველას სიხარულით ხვდებოდა და ესაუბრებოდა. აღარ არის, ჩვენი გივი ნაცვლიშვილი. დაკრძალვის დღეს, ხალხმრავლობის მიუხედავად დაცარიელებული და უპატრონო მენგენა ჩემი ახმეტა. თუ რამეს ვწერდი, უნდა გამოიგზავნო და გივის დამსახურებაც იყო. როგორ დავივიწყოთ ეს ნათელი მეგობარი, როგორ? წუთისოფელი ასეა, თანდათან ვიძარცვებით ნათელი ადამიანებისგან. შენი არყოფნის წლისთავი მოდის, გივი, 19 სექტემბერს აღესრულე, მარადიული ნათელი გადგეს, სიცოცხლეშიც ნათელს. შენს ოჯახს კი გამრავლება და მუდამაყამს უფლის მფარველობა ჰქონდეს!

იზა ჯაჭვამი.

Advertisement for 'Kavkasia' magazine, including contact information for the editorial office and subscription details.